

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი  
უცხოური ენების ცენტრი

ნანა ამირანაშვილი, ნელი გიგოლაევა,  
რუსუდან გიორგობიანი, ნელი ხატიაშვილი

**ლათინური  
სამედიცინო ტერმინოლოგიის საფუძვლები**

სახელმძღვანელო და სამუშაო რვეული  
უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების სტუდენტებისათვის

**FUNDAMENTA TERMINOLOGIAE  
MEDICAE LATINAЕ**



gamomcemloba `universali~  
Tbilisi 2019

რედაქტორები: ირინე კვაჭაძე,  
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
მანანა ფხავაძე,  
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭოს მიერ  
2015 წლის 24 ივლისის დადგენილებით (ოქმი № 24/12)

© ნანა ამირანაშვილი, ნელი გიგოლაევა,  
რუსუდან გიორგობიანი, ნელი ხატიაშვილი

საავტორო უფლებები დაცულია.  
ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გამრავლებულდეს ელექტრონული ან  
ბეჭდური ფორმით ავტორებისა და გამომცემლობის წერილობითი თანხმობის გარეშე.  
აღნიშნული ქმედებები განიხილება საავტორო უფლებების დარღვევად, რაც ისჯება  
კანონით.

gamomcemloba `universal` , 2019

Tbilisi, 0179, i. WavWavaZis gamz. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-604-5

## სარჩევი

### ლათინური სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარების

საკითხისათვის	5
I მეცადინეობა	
§1 ლათინური ანბანი	9
II მეცადინეობა	
§2 ზოგიერთი თანხმოვნის გამოთქმის წესი	16
III მეცადინეობა	
§3 მორფოლოგია	24
§4 არსებით სახელთა ხუთი ბრუნების მიმოხილვა	25
§5 არსებითი სახელის ფუძე	26
§6 არსებითი სახელის სალექსიკონო ფორმა	26
§7 შეუთანხმებელი მსაზღვრელი	34
IV მეცადინეობა	
§8 ზედსართავი სახელის ზოგადი მიმოხილვა	41
§9 I და II ბრუნების ზედსართავი სახელები	41
§10 III ბრუნების ზედსართავი სახელები	42
§11 ზედსართავი სახელის სალექსიკონო ფორმა	42
§12 შეთანხმებული მსაზღვრელი	43
§13 არსებით სახელთა I ბრუნება	53
§14 ბერძნული არსებითი სახელების I ბრუნება	57
V მეცადინეობა	
§15 ანატომიური ტერმინის სტრუქტურა	59
§16 არსებით სახელთა II ბრუნება	63
§17 ნამყო წყვეტილის ვნებითი გვარის მიმღეობა	71
VI მეცადინეობა	
§18 არსებით სახელთა III ბრუნება	74
§19 მამრობითი სქესის III ბრუნების არსებითი სახელები	77
§20 მამრობითი სქესის III ბრუნების არსებითი სახელების სიტყვაწარმოება	78
§21 III ბრუნების მდედრობითი სქესის არსებითი სახელები	83
§22 III ბრუნების მდედრობითი სქესის არსებითი სახელების სიტყვაწარმოება	85
VII მეცადინეობა	
§23 III ბრუნების საშუალო სქესის არსებითი სახელები	90
§24 III ბრუნების საშუალო სქესის არსებითი სახელების სიტყვაწარმოება	91
§25 არსებითი სახელის vas, vasis n ბრუნება	96
§26 III ბრუნების ზედსართავი სახელი	96
§27 აწყო დროის მოქმედებითი გვარის მიმღეობა	104
§28 ზედსართავი სახელის ხარისხები	108
§29 შედარებითი ხარისხი	108
§30 აღმატებითი ხარისხი	108
§31 ხარისხების არასწორი და ნაკლული წარმოება	109
VIII მეცადინეობა	
§32 კლინიკური ტერმინოლოგიის შესავალი	118
§33 მრავალსიტყვიანი კლინიკური ტერმინის სტრუქტურა	119
§34 სუფიქსები კლინიკურ ტერმინოლოგიაში	120

§35 რთული და წარმოებული კლინიკური ტერმინის სტრუქტურა	120
§36 ბერძნულ-ლათინური დუბლეტები	123
§37 ბერძნული პრეფიქსები	129
§38 ბერძნული სიტყვები და ტერმინოელემენტები (ნაწილი I)	130
<b>IX მეცადინეობა</b>	
§39 ბერძნული სიტყვები და ტერმინოელემენტები (ნაწილი II)	136
§40 ბერძნული სიტყვები და ტერმინოელემენტები (ნაწილი III)	141
<b>X მეცადინეობა</b>	
§41 ბერძნული სიტყვები და ტერმინოელემენტები (ნაწილი IV)	146
§42 ბერძნული სიტყვები და ტერმინოელემენტები (ნაწილი V)	150
<b>XI მეცადინეობა</b>	
§43 ფარმაცევტული ტერმინოლოგია	159
§44 ფარმაცევტული ტერმინის შედგენის წესი	159
§45 ზმნა	165
<b>XII მეცადინეობა</b>	
§46 რეცეპტი	173
§47 რეცეპტის სტრუქტურა	173
§48 რეცეპტის ლათინურენოვანი ნაწილი	174
§49 დამატებითი წარწერები რეცეპტზე	177
§50 შემოკლებები რეცეპტში	177
§51 რეცეპტში გამოყენებული ზმნიზედები	180
§52 რეცეპტში გამოყენებული ნაცვალსახელები	180
§53 პროფესიული სამედიცინო გამოთქმები წინდებულებით	180
§54 სამკურნალო საშუალებათა მაგარი ფორმები	181
§55 სამკურნალო საშუალებათა რბილი ფორმები	182
§56 სამკურნალო საშუალებათა თხევადი ფორმები	182
§57 რეცეპტები	184
§58 ქიმიური ნომენკლატურა	191
§59 მჟავების სახელწოდებები	191
§60 მარილების სახელწოდებები	191
§61 ოქსიდების სახელწოდებები	192
 არსებით სახელთა ბრუნების სისტემის მიმოხილვა	204
ჰიპოკრატეს ფიცი, სტუდენტური ჰიმნი	205
ხატოვანი გამოთქმები	206
შუალედური და ფინალური გამოცდების ნიმუშები	212
ლათინურ-ქართული ლექსიკონი	215
ქართულ-ლათინური ლექსიკონი	266

## ლათინური სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარების საკითხისათვის

სასწავლო კურსს, რომელსაც ამ სახელმძღვანელოს საშუალებით შეისწავლით, ლათინური სამედიცინო ტერმინოლოგიის საფუძვლები ეწოდება. მედიცინის საფუძვლების დაუფლების დაწყებისთანავე თქვენ დარწმუნდებით, რომ სრულიად მართებულია ძველთაგანვე ცნობილი გამოთქმა: “Invia est in medicina via sine lingua Latina” – „გაუვალია გზა მედიცინაში ლათინური ენის გარეშე“.

ლათინური ენა ინდოევროპული ოჯახის რომანულ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. ამ ენაზე ათზე მეტი საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და უმნიშვნელოვანესი მხატვრული, სამეცნიერო და სამედიცინო ლიტერატურა.

ლათინურ ენაზე შეიქმნა სხვადასხვა თანამედროვე ტერმინოლოგია (ბოტანიკური, ბიოლოგიური, ზოოლოგიური, მიკრობიოლოგიური, ემბრიოლოგიური და სხვა). მათ შორის პირველი იყო სამედიცინო ტერმინოლოგია - საერთაშორისო ანატომიური, ჰისტოლოგიური, კლინიკური და ქიმიურ-ფარმაცევტული, რომელთა საფუძვლების შესწავლა იქნება ჩვენი ძირითადი ამოცანა.

დღეს ლათინური ენა ე.წ. მკვდარ ენათა რიცხვს განკუთვნება, მაგრამ იგი განაგრძობს სიცოცხლეს როგორც საზოგადოდ - მეცნიერების, მედიცინის, დიპლომატიის, იურისპრუდენციისა და ღვთისმსახურების ენა.

ვიდრე ლათინური ენის შესწავლის მნიშვნელობასა და მის ისტორიაზე ვისაუბრებდეთ, ალბათ, საჭიროა, განვმარტოთ თვით სიტყვა “ლათინურის” წარმომავლობა.

დღევანდელი იტალიის ტერიტორიაზე, აპენინის ნახევარკუნძულის შუაში, მდინარე ტიბროსის ქვემოთ მდებარეობდა **ლატიუმი** (*Latium*) ანუ **ლატიუმი**, რომლის ცენტრი იყო ქალაქი რომი (**Roma**). სწორედ მის გარშემო გაერთიანდნენ აპენინის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ტომები და სახელმწიფო ენადაც ლაციუმის ტომების ენა - **ლათინური** იქცა (ჩვ. წ. აღ-მდე I ს.).

მას შემდეგ არაერთ სამეცნიერო დარგსა და ტერმინოლოგიას ჩაეყარა საფუძველი ლათინურ ენაზე და მათ შორის მედიცინასაც. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ლათინური გახდა მედიცინის ენა, თუმცა, არანაკლებ მდიდარი და მნიშვნელოვანი სამედიცინო ლიტერატურა შექმნილია ძველ ბერძნულ ენაზე. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ევროპული სამეცნიერო მედიცინის მამა ჰიპოკრატე (ჩვ. წ. აღ-მდე 460-370 წწ.) ძველ ბერძნულ ენაზე წერდა. მის ნაშრომებს დღესაც არ დაუკარგავთ ღირებულება, ხოლო მისი შემოღებული სამედიცინო ტერმინებით ახლაც სარგებლობენ სპეციალისტები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მედიცინის ენა გახდა ლათინური. ამას თავისი ისტორიული მიზეზი ჰიპოკრატი ჰქონდა.

პუნიკური ომების (ჩვ. წ. აღ-მდე III-II სს) შემდეგ რომაელმა ლეგიონებმა ლათინური ენა მთელ დაპყრობილ ტერიტორიაზე გაავრცელეს და იგი რომის იმპერიის სახელმწიფო ენად იქცა. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ლათინური ენა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე დამკვიდრდა, მაშინ როცა ბევრად უფრო განვითარებულმა ძველმა ბერძნულმა ენამ დიდი გავლენა მოახდინა თვით ლათინურ ენაზე. მას შემდეგ კი, რაც 395 წელს რომის იმპერია დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად დაიყო, ბერძნული ენა გადაიქცა იმპერიის მეორე ენად ძირითადად აღმოსავლეთში, ჩვ. წ. აღ-მდე II საუკუნიდან კი, როცა რომმა საბერძნეთი დაიპყრო, იმპერიისათვის დამახასიათებელი გახდა ბილინგვიზმი (ბი - ორი, ლინგვა - ენა) - ორენოვნება. ლათინურ ენაში დიდი რაოდენობით ჩნდება ბერძნული სიტყვები არა მარტო სამეცნიერო დისციპლინებში, არამედ ყოველდღიურ მეტყველებაშიც. ნასესხები სიტყვები ლათინიზდებოდნენ - იღებდნენ ლათინური ენისათვის დამახასიათებელ დაბოლოებებს.

სამედიცინო ტერმინოლოგიაც ლათინურ ენაზე ამ პერიოდში ყალიბდებოდა და, ცხადია, იგი ვერ ასცდებოდა ბერძნული ენის გავლენას, ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგების ტერმინოლოგია.

ლათინური ენის აღმავლობა, როგორც ცოცხალი, სალაპარაკო ენისა წყდება ჩვ. წ. აღ-ის შემდეგ V საუკუნეში, რომის იმპერიის დაცემის შემდეგ. ამ დროიდან სალაპარაკო ლათინური ნელ-ნელა კარგავს თავის ფუნქციებს. მველი რომაული პროვინციები ცდილობენ საკუთარი ენების აღდგენას. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს IX საუკუნიდან. სალაპარაკო, ხალხურ ლათინურთან ადგილობრივი ენების შერწყმის შედეგად წარმოიშვა თანამედროვე რომანული ენები: ესპანური, პორტუგალიური, ფრანგული, იტალიური, რუმინული და სხვ. რაც შეეხება სალიტერატურო ლათინურს, იგი ხელოვნურად განაგრძობდა არსებობას დასავლეთ ევროპაში მრავალი საუკუნის მანძილზე: შუა საუკუნეებში (V-XIV სს) ე.წ. შუა საუკუნეების ლათინურის, ხოლო აღორძინების ეპოქაში (XV-XVI სს) ე.წ. ჰუმანისტური ლათინურის სახელწოდებით. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა, მეცნიერებიც თავიანთ შრომებს ლათინურ ენაზე წერდნენ, ძველ ბერძნულ და არაბულ ენებზე შექმილ თხზულებებსაც ევროპა ლათინურ ენაზე ეცნობოდა. აღორძინების ხანაში ძალიან ზრუნავდნენ ლათინური ენის სიწმინდის დაცვისათვის. ამ ეპოქაში ლათინურმა ენამ მოიპოვა მეცნიერების საერთაშორისო აღიარება. ინფორმაციის გაცვლა ზეპირადაც და წერილობითაც ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა. ამ პერიოდშივე ეყრებოდა საფუძველი საერთაშორისო სამედიცინო ტერმინოლოგიას ლათინურ ენაზე.

ლათინურ ენაზე წერდნენ თვალსაჩინო ევროპელი მოაზროვნეები: უილიამ ჰარვეი, ფრენსის ბეკონი, ანდრეას ვეზალიუსი, თომას მორი, რენე დეკატი, ბარუხ სპინზა, ჯორდანო ბრუნო, ისააკ ნიუტონი, კარლ ლინე, მიხეილ ლომონოსოვი, ნიკოლოზ პიროგოვი და სხვები. ლათინურ ენაზე დგებოდა ავადმყოფობის ისტორიები.

ერთი სიტყვით, სამედიცინო განათლება საუკუნეების მანძილზე ლათინურ ენაზე ვრცელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში იგი დაიხვეწა, ძველი ბერძნული ენის დახმარებით გამდიდრდა და მოხერხებულ საურთიერთობო საშუალებად ჩამოყალიბდა მსოფლიოს ექიმებს შორის. მეცნიერებისა და მედიცინის ენად ლათინურის გამოყენებას, გარდა დამკვიდრებული ტრადიციებისა, ხელი იმანაც შეუწყო, რომ მთელ რიგ ენებზე არ არსებობდა სამეცნიერო ცნებების აღმნიშვნელი სიტყვები, ლათინურ ენას კი მოკლედ და ზუსტად შეუძლია გამოხატოს ყველა ცნება ერთი ტერმინით.

ბერძნული სამედიცინო სკოლის მიღწევები განავითარეს ალექსანდრიელმა ექიმებმა - აღწერითი ანატომიის ფუძემდებელმა ჰეროფილემ (ჩვ. წ. აღ-მდე IV ს. ბოლო მესამედი) და ერასისტრატემ (ჩვ. წ. აღ-მდე IV-III სს). მოვიანებით რომაელებმა თავად შეიტანეს დიდი წვლილი ევროპული მედიცინის განვითარებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რომაელი ენციკლოპედიისტისა და ექიმის ავლოს კორნელიუს ცელსუსის (ჩვ. წ. აღ-მდე I ს - ის დასასრული და ჩვ. წ. აღ.-ის I ს-ის I ნახევარი) შრომებს. ასევე დიდია მედიცინის წინაშე კლავდიუს გალენუსისა (131-201 წწ.) და პლინიუს უფროსის (23-79 წწ.) “ბუნებისმეტყველების ისტორიის” დამსახურება.

ასე რომ, რომაული მედიცინა აღმავლობის გზით მიდის, ბერძნული ტერმინების გვერდით მკვიდრდება ლათინური სინონიმები, ე.ი. მედიცინაში საფუძველი ეყრება ბილინგვიზმს - ორენოვნებას, რომელიც დღემდე გრძელდება. ამით არის გამოწვეული, რომ ლათინური ენის შესწავლისას ბერძნულ ტერმინებზეც ხშირად გვექნება საუბარი.

**ლათინური სამედიცინო ტერმინოლოგიის საფუძვლების სასწავლო კურსის მიზანია, მოამზადოს ექიმი, რომელსაც საშუალება ექნება, პროფესიული საქმიანობისა თუ სამეცნიერო მუშაობის მანძილზე ადეკვატურად გამოიყენოს ლათინური სამედიცინო ტერმინოლოგია. ეს კი მხოლოდ ლათინური ენის გრამატიკის, ბერძნული და ლათინური სიტყვაწარმოების პრინციპების, მაწარმოებელი ელემენტების მნიშვნელობებისა და შესაბამისი ლექსიკის დაუფლებით გახდება შესაძლებელი.**

**ლათინური სამედიცინო ტერმინოლოგიის საფუძვლების კურსი სამედიცინო უნივერსიტეტში ერთ-ერთი იმ დისციპლინათაგანია, სადაც მეცადინეობების ძირითად შინაარსს წარმოადგენს ანატომიური, ჰისტოლოგიური, კლინიკური, ქიმიური, ფარმაცევტული ტერმინების მნიშვნელობების ახსნა და სტრუქტურული ანალიზი, მუშაობა რეცეპტებზე. ეს კი ის საკითხებია, რომელთა დაუფლება ხელს უწყობს პროფესიონალი ექიმის მომზადებას. ერთი სასწავლო სემესტრის მანძილზე გათვალისწინებულია შესწავლა ლათინური ენის გრამატიკის იმ მინიმუმისა, რომელიც საფუძველია სამედიცინო ტერმინოლოგიის საწყისების დაუფლებისა და შემდგომი პროფესიული წინსვლისა.**

**ლათინური ენის გრამატიკულ კატეგორიებში გარკვევა არის ბაზისი სწორად კითხვისა და წერისა, არსებითი და ზედსართავი სახელის ბრუნების ცოდნა - ტერმინში შემავალი სიტყვების ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრისა, ტერმინის შედგენისა და რთული სიტყვების წარმოების ჩვევების დაუფლებისათვის. ზმნის შესწავლა რეცეპტის სწორად გამოწერის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. რეცეპტი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და, მათ შორის, ჩვენთანაც ლათინურ ენაზე იწერება. რეცეპტშივეა საჭირო ზმნიზედა, ნაცვალსახელი, არსებითი სახელის მეორე არსებით სახელთან ან ზედსართავ სახელთან შეთანხმება. ქიმიური და ფარმაცევტული ნომენკლატურის დაუფლება ხელშემწყობია სამკურნალო ნივთიერებების, მცენარეებისა და წამლების სახელწოდებათა სისტემაში გარკვევასა და წამლის შედგენილობის განსაზღვრისათვის.**

**კლინიკურ ტერმინოლოგიაში ძირითადად გამოიყენება ძველი ბერძნული ლექსიკა, რადგან ადამიანის პათოლოგიური მდგომარეობის სახელწოდებები ბერძნული წარმოშობისაა. კლინიკური ტერმინოლოგიის ცოდნა აუცილებელია დიაგნოზის დასაწერად, ამიტომ ლათინურთან ერთად შეისწავლება მათი ბერძნული შესატყვისებიც.**

**ყოველივე ამის ცოდნა კი აადვილებს სპეციალური ლიტერატურის ნებისმიერ ენაზე კითხვასა და გაგებას.**

**იმედი გვაქვს, მეცადინეობების დროს ტერმინით აღნიშნული ცნებების სისტემატური ანალიზი გაგიღვიძებთ ინტერესს სამედიცინო ტერმინოლოგიის საფუძვლების შესწავლისადმი და ხელს შეგიწყობთ ექიმებისათვის აუცილებელი პროფესიული ჩვევების გამომუშავებაში.**

**გასათვალისწინებელია, რომ ლათინური ენა ფართოდ გამოიყენება ახალი ტერმინების შესაქმნელად. თანამედროვე მეცნიერების დარგები, პრეპარატები, მეთოდები, ხელსაწყოები და სხვა, ძირითადად, ლათინური ენიდან იღებს სახელწოდებებს.**

**ასე რომ, ლათინური ენა დღესაც განაგრძობს სიცოცხლეს.**

## I მეცადინეობა

### §1 ლათინური ანბანი

ლათინური ანბანი 24 ასოსგან შედგება:

N	მთავრული	ნუსხური	სახელწოდება	გამოთქმა
1.	A	a	ა	ა
2.	B	b	ბე	ბ
3.	C	c	ცე	ც, ჰ
4.	D	d	დე	დ
5.	E	e	ე	ე
6.	F	f	ეფ	ფ
7.	G	g	გე	გ
8.	H	h	ჰა	ჰ
9.	I	i	ი	ი
	J	j	იოტ	ი
10.	K	k	კა	კ
11.	L	l	ელ	ლ
12.	M	m	ემ	მ
13.	N	n	ენ	ნ
14.	O	o	ო	ო
15.	P	p	პე	პ
16.	Q	q	ქუ	ქ
17.	R	r	ერ	რ
18.	S	s	ეს	ს, ზ
19.	T	t	ტე	ტ, ც
20.	U	u	უ	უ, ჸ
21.	V	v	ვე	ვ
22.	X	x	იქს	ქს, გზ
23.	Y	y	იგრევ	ი
24.	Z	z	ზეტ	ზ, ც

ლათინურ ენაში გამოიყენება მთავრული და ნუსხური ასოები. მთავრული ასოთი იწყება ყოველი ახალი წინადადება, მთავრულით იწერება საკუთარი სახელი, მისგან ნაწარმოები ზედსართავი სახელი, ხოლო რეცეპტში - სამკურნალო ნივთიერებათა, პრეპარატების, მცენარეთა და ქიმიური ელემენტების სახელწოდებები.

სხვა შემთხვევებში გამოიყენება ნუსხური ასოები.

## ბგერათა დაყოფა

ლათინურ ენაში არის 6 ხმოვანი და 18 თანხმოვანი ბგერა, ასევე გამოიყენება 4 დიფთონგი (ორი ხმოვნის ნაერთი) და 4 დიგრაფი (ორი თანხმოვნის ნაერთი).

კლასიკურ ლათინურში (ძვ.წ. აღ.- მდე I ს.) ბგერა და ასო თითქმის მთლიანად შეესაბამებოდა ერთმანეთს, მაგრამ საუკუნეების მანძილზე ზოგიერთი ასოს გამოთქმა შეიცვალა. ყურადღებას გავამახვილებთ, პირველ რიგში, ხმოვნებზე და მათ გამოთქმაზე დღევანდელ საბუნებისტყველო მეცნიერებებში.

## ხმოვანთა გამოთქმის წესები

a	გამოითქმის როგორც	ა
e	"	ე
i	"	ი
o	"	ო
u	"	უ ან ვ
y	"	ი

### Aa გამოითქმის როგორც ა

წაიკითხეთ: **ala** (ალა) - ფრთა  
**gala** გალა) - რძე  
**palma** (პალმა) - ხელისგული  
**par** (პარ) - წყვილი  
**planta** (პლანტა) - მცენარე  
**valva** (ვალვა) - სარქველი

### Ee გამოითქმის როგორც ე

წაიკითხეთ: **area** (არეა) - არე  
**aden** (ადენ) - ჯირკვალი  
**gaster** (გასტერ) - კუჭი  
**dens** (დენს) - კბილი  
**vertebra** (ვერტებრა) - მალა  
**hepar** (ჰეპარ) - ღვიძლი

### Ii გამოითქმის როგორც ი

წაიკითხეთ: **linea** (ლინეა) - ხაზი  
**gingiva** (გინგივა) - ღრმილი  
**arteria** (არტერია) - არტერია  
**tibia** (ტიბია) - დიდი წვივი  
**lien** (ლიენ) - ელენთა  
**lamina** (ლამინა) - ფირფიტა

მე-16 საუკუნიდან, ხმოვნის წინ სიტყვის ან მარცვლის დასაწყისში და ხმოვნებს შორის **i** - ს ნაცვლად წერენ **J j** (გერმ. იოტ) ევროპული ენების გავლენით, განსაკუთრებით ანატომიურ ტერმინოლოგიაში.

### J j ნახევარხმოვანია და ქართულად გამოითქმის როგორც ი

**i** სიტყვის/ მარცვლის დასაწყისში + ხმოვანი = **J j**

**i** სიტყვის/ მარცვლის დასაწყისში + ხმოვანი = **J j**

წაიკითხეთ: **ejaculatorius** (ეჯაკულატორიუს) - გამომყვანი, გამომგდები

**Ju** = **junctura** (იუნკტურა) - შეერთება

**Je** = **jecur** (იეკურ) - ღვიძლი

**Jo** = **major** (მაიორ) - დიდი

### **Oo** გამოითქმის როგორც **ო**

წაიკითხეთ: **orbita** (ორბიტა) - თვალბუდე

**os** (ოს) - 1. ძვალი 2. პირი

**aorta** (აორტა) - აორტა

**margo** (მარგო) - კიდე

**origo** (ორიგო) - დასაწყისი

**organon** (ორგანონ) - ორგანო

### **Uu** გამოითქმის როგორც **უ**

წაიკითხეთ: **apertura** (აპერტურა) - შესავალი

**membrum** (მემბრუმ) - კიდური

**glandula** (გლანდულა) - ჯირკვალი

**mandibula** (მანდიბულა) - ქვედაყბა

**ovum** (ოვუმ) - კვერცხი

**ulna** (ულნა) - იდაყვის ძვალი

მაგრამ **q, ng, s + u + ხმოვანი = ვ**

**aqua** (აქვა) - წყალი

**lingua** (ლინგვა) - ენა

**suavis** (სვავის) - სასიამოვნო

### **Yy** გამოითქმის როგორც **ი**

**y** - ს ძველი ბერძნები იფსილონს უწოდებდნენ. ლათინურ ენაში იგი ციცერონის (ძვ.წ.აღ.106-43 წწ.) დროიდან შემოვიდა. ბერძნულში მისი შესატყვისი იყო ν (შეადარეთ გერმ. ü, ფრანგ. u). XVII ს-ში ფრანგმა მათემატიკოსებმა იფსილონს იგრევი (ანუ ბერძნული ο) უწოდეს.

იფსილონი იხმარება მხოლოდ ბერძნული ენიდან შემოსულ სიტყვებში.

ხშირად ხმარებული ბერძნული პრეფიქსები, ფუძეები და სუფიქსებია:

**hyper** - ზე,ზევით, აწევა, მომატება

**hypertonia** (ჰიპერტონია) - მაღალი წნევა

**hypo** - 1. დაწევა; დაქვეითება

2. ქვეშ

hypotonia (ჰიპოტონია) - დაბალი წნევა  
hypoglossus (ჰიპოგლოსუს) - ენისქვეშა  
hydr (hydr) - წყალი  
Hydrogenium (ჰიდროგენიუმ) - წყალბადი  
oxy (oxys) - მჟავე  
Oxygenium (ოქსიგენიუმ) - ჟანგბადი  
myo (mys) - კუნთი  
myologia (მიოლოგია) - მეცნიერება კუნთის შესახებ  
pyr (pyr) - ცეცხლი, სიცხე  
Antipyrinum (ანტიპირინუმ) - ანტიპირინი  
py(o)(pyon) - ჩირქი  
pyothorax (პიოთორაქს) - ჩირქი გულ-მკერდის არეში  
phys (physis) - ბუნება  
physiologia (ფიზიოლოგია) - მეცნიერება ორგანიზმში მიმდინარე ბუნებრივი პროცესების შესახებ  
cycl (cyclos) - წრე  
cyclitis (ციკლიტის)- თვალის წამწამოვანი სხეულის ანთება  
myc (myces) - სოკო  
mycosis (მიკოზის) - სოკოვანი დაავადება  
dys - მოშლა, გაძნელება, დარღვევა  
dyspnoë (დისპნოე) - სუნთქვის მოშლა  
syn (m, p, f -ს წინ sym) - შეერთება, თან  
synthesis (სინთეზის) - სინთეზი, შეერთება  
symphysis (სიმფიზის) - ბუნებრივი შეხორცება  
poly - მრავალი  
polynuclearis (პოლინუკლეარის) - მრავალბირთვიანი  
lymppha - გამჭვირვალე სითხე  
lymphaticus (ლიმფატიკუს) - ლიმფური  
cyt (cytus) - უჯრედი  
lymphocytus (ლიმფოციტუს) - ლიმფური უჯრედი  
erythr (erythros) - წითელი  
erythrocytus (ერითროციტუს) - სისხლის წითელი უჯრედი  
lysis - ლიზისი, დაშლა  
hydrolysis (ჰიდროლიზის) - წყლის დაშლა  
myel - ზურგის ან ძვლის ტვინი  
myelitis (მიელიტის) - ზურგის ან ძვლის ტვინის ანთება  
glyc - შაქარი  
glykaemia (გლიკემია) - სისხლში შაქრის არსებობა ნ.კ.-ში  
-yl (hyle) - ნივთიერება  
Aethylium (ეთილიუმ) - ეთილი  
ასევე, ყველა მაგალითი გვხვდება ყველა იმ სიტყვაში, რომლებშიც ძველ ბერძნულში **v** იწერებოდა.  
მაგალითად:  
dactylus (დაკტილუს) - თითი

- gyrus (გირუს) - ტვინის ხვეული
- tympanum (ტიმპანუმ) - დაფი
- hygiena (ჰიგიენა) - ჰიგიენა
- pylorus (პილორუს) - კუჭის გასავალი
- systema (სისტემა) - სისტემა

დიფთონგები

დიფთონგი ბერძნული სიტყვაა და ორქმოვანს ნიშანავს. დიფთონგის შექმნა ლათინურ ენაში ზოგიერთი ბერძნული ბგერის გადმოსაცემად გახდა საჭირო. დიფთონგი ერთ მარცვალს ქმნის. ლათინურ ენაში 4 დიფთონგია.

**æ** - ဂ မာဂဲ, diaeta (ဒေဝါတာ) - ဒေဝါတာ

**aeger** (აგერ) - ავადმყოფი

vertebrae (ვერტებრე) - მალები

**oe - ი** მაგ., **oedema** (ედემა) - შეტყრება

amoeba (ამება) - ამება

თუ **ae** და **oe** არ ქმნის დიფთონგს, მაშინ II ხმოვანზე იწერება უმღაუტი (ორი წერტილი ან ტირი) და ორივე ხმოვანი ცალ-ცალკე იკითხება.

მაგ., *apnoë* (აპნოე) - სუნთქვის გაჩერება

diploë (დიპლოე) - ორუებლისებრი ნივთიერება

aer (အေဂျင်) - ဒီဇာဂျင်

Aloë (ალოე) - ალოე

au - ଅୟ ଅନ୍ତର୍ଗୁଡ଼ୁ ମାତ୍ର.. Aurum (ଅୟର୍ମୁମ) - ଉତ୍ତରିଣ୍ଠ

trauma (ଶରୀରମଧ୍ୟ) - ଶରୀରମଧ୍ୟ

**III - ღუ ან ღვ მია** pleura (პლეურა) - დილტიის საროტული არეალი

neuron (நூற்றான்) - நூற்றான்

**pneumon** (პნეუმონი) - თვალტევი

(აუ და ავ, ეუ და ევ აბსოლუტურად სრულფასოვნად ცვლიან ერთმანეთს გამოთქმისას ლათინურში: მაგ. ტრაუმა-ტრავმა, მაგრამ ქართულად **აუ** და **ეუ** დიფორთხებში **უ** ვ-დ აკომიტის, მაგ. აკტორობიზი, ლეიკონიზი, ეპროპ).

ପ୍ରକାଶକ

$\gamma$  -  $b$      $ch$      $\beta\alpha\alpha$  brachium (ბრახიუმ) - მხარი

**chirurgia** (ხირურგია - ხელით მუშაობა) - ქირურგია

φ - φ ph მაგ.. *Lympha* (ლიმფა) - ლიმფა

dianhraagma (ଦୋଷଫର୍ତ୍ତାମିଳ) - ଦୋଷଫର୍ତ୍ତାମିଳ

θ - θη **th** θεα **therapia** (θεραπεία) - θεραπεύω

**thorax** (ଥୋରାକ୍ସ) - ମୃଦୁଲୀରେ

2.6 rh legume and fruit

ମୀରା rhanha (ରୂପି) - ନେତ୍ରରେ

**rhombus** (რომბი) - რომბი

**ზოგიერთი თანხმოვნის გამოთქმის წესი**  
თანხმოვანთა უმეტესობის წაკითხვა არ იწვევს არავითარ სიძნელეს, ამიტომ  
შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე.

**C იკითხება როგორც ც, თუ მას მოსდევს e, i, y, ae, oe.**

**C იკითხება როგორც კ სხვა ყველა შემთხვევაში, ე.ი. თუ მას მოსდევს ხმოვნები - a, o, u,**  
**ნებისმიერი თანხმოვანი და სიტყვის ბოლოს.**

<b>C +</b>	<b>e, i, y, ae, oe</b>	<b>= ც</b>
	a, o, u, ნებისმიერი თანხმოვანი, სიტყვის ბოლოს	კ

წაიკითხეთ:

**C = ც**

cerebrum (ცერებრუმ) - თავის ტვინი  
cilium (ცილიუმ) - წამწამი  
cytus (ციტუს) - უჯრედი  
caecus (ცეკუს) - ბრძა  
coelia (ცელია) - მუცლის ღრუ

**C = კ**

canalis (კანალის) - არხი  
columna (კოლუმნა) - სვეტი  
arcus (არკუს) - რკალი  
cranium (კრანიუმ) - თავის ქალა  
lac (ლაკ) - რძე

**სავარჯიშო 1.1**  
**წაიკითხეთ, ხაზი გაუსვით დიფთონგებს**

- 1.**neuritis** 2.**cauda** 3.**saepe** 4.**gangraena** 5.**seu** 6.**foetus** 7.**autolysis** 8.**lagoena** 9.**aura** 10.**pleuritis**  
11.**trauma** 12.**euploidia** 13.**auris** 14.**saeulum** 15.**Eucalyptus** 16.**peritonæum** 17.**eupnoë** 18.**autocyt**i  
19.**pneumonia** 20.**dyspnoë** 21.**haematologia** 22.**auditorium** 23.**laevis** 24.**anaemia** 25. **laminae**.

**სავარჯიშო 1.2**  
**წაიკითხეთ, ხაზი გაუსვით დიგრაფებს**

- 1.**trachea** 2.**arthritis** 3.**brachium** 4.**haemorrhagia** 4.**lympha** 5.**chirurgia** 6.**pharmacon** 7.**methodus**  
8.**nucha** 9.**autotherapia** 10.**rheumatismus** 11.**trochlea** 12.**esophagus** 13.**chronologia** 14.**xiphoides**  
15.**chondros** 16.**theoria** 17.**encephalon** 18.**rhis** 19.**typhus** 20.**pathologia** 21.**embryopathia** 22.**sphenoidalis**  
23.**chronicus** 24.**sphaerocyti** 25.**Althaea** 26.**rhomboideus** 27.**cathedra** 28.**atrophia** 29.**rhachitis**  
30.**atmosphera** 31.**phototherapia** 32.**charta**.

**სავარჯიშო 1.3**  
**შემოხაზეთ სიტყვები, რომლებშიც C იკითხება როგორც ც**

- 1.**conus** 2.**centrum** 3.**cucumis** 4.**cerebrum** 5.**cor** 6.**cranium** 7.**cervix** 8.**caelum** 9.**fractura**  
10.**granulocyt**i 11.**tuberculum** 12.**cyclus** 13.**crus** 14.**cystis** 15.**sulcus** 16.**hic** 17.**coena** 18.**glandulocytus**  
19.**citrus** 20.**hepaticus** 21.**decoctum** 22.**cylindrus** 23.**cele** 24.**discus** 25.**cornu** 26.**panacea** 27.**coccus**  
28.**cucurbita** 29.**cubitus**. 30.**cytologia**.

**სავარჯიშო 1.4**  
**სწორად გამოთქვით ტერმინები:**

- 1.**Nervus**, **dens**, **terra**, **nemo**, **bene**, **arena**, **genu**, **littera**, **memoria**, **coronalis**.  
2.**Vitaminum**, **majalis**, **Januarius**, **junctura**, **jejunum**, **jus**, **jecur**, **juvenis**.  
3.**Pyelitis**, **Hydrargyrum**, **hypotonia**, **Amygdala**, **myopia**, **myoma**.  
4.**Gangraena**, **anaemia**, **aeger**, **costae**, **praecordium**, **saepe**, **aetiologya**.  
5.**Foetus**, **coelia**, **moenia**, **Feniculum**, **amoenus**, **cyaneus**, **colica**.  
6.**Auris**, **auditus**, **auscultatio**, **aura**, **fauces**, **bilis**, **finis**, **ampulla**, **ulcus**.  
7.**Lingua**, **unguentum**, **subungualis**, **labor**, **verruca**, **siccus**, **caryolympha**.  
8.**Eupnoë**, **aér**, **diploë**, **uropoëticus**, **Convallaria**, **cito**, **centrum**, **coccygeus**.  
9.**Cerebrum**, **caverna**, **coepi**, **carcinoma**, **bacterium**, **cylindricus**, **cilium**.  
10.**Herba**, **hic**, **haema**, **hemicrania**, **clinica**, **contractura**, **varicella**.  
11.**Sal**, **locus**, **longus**, **lumbalis**, **latus**, **columna**, **medulla**, **pulmo**.  
12.**Genotypus**, **thymocytus**, **pneumonia**, **cementum**, **coccus**, **cocci**, **criticus**.  
13.**Typhus**, **erythema**, **cholecystitis**, **haemophilia**, **cochlea**, **rhaphe**, **concha**.  
14.**Epithelium**, **haemorrhagia**, **thermotherapia**, **rhinorrhagia**, **atrophia**.

## II მეცადინეობა

### §2 ზოგიერთი თანხმოვნის გამოთქმის წესი

#### F f - Φ

**F** იკითხება როგორც რუსული **Φ**, ან ევროპული ენების **f** (**ph**-ს გამოთქმა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ ფ-ს უახლოვდება).

- წაიკითხეთ:
- foetus** (Φεტუს) - ნაყოფი
  - profundus** (პროΦუნდუს) - ღრმა
  - foetor** (Φეტორ) - ცუდი სუნი
  - fovea** (Φოვეა) - ღრმული

#### Kk

**K** არსებობდა არქაულ ლათინურში და დარჩა ერთადერთ საზოგადო სიტყვაში **Kalendae** (თვის პირველი რიცხვი) და ზოგიერთ საკუთარ სახელში.

მოგვიანებით იგი იხმარებოდა ბერძნულიდან შემოსულ სიტყვებში ბერძნული გამოთქმის დაცვის მიზნით. როგორც ვიცით, “ე” და “ი” ბგერების წინ C არასოდეს იკითხება როგორც კ (გარდა კლასიკური ლათინურისა), ამიტომ ამ ბგერათა წინ, როცა კ გვესმის, **K** უნდა დავწეროთ:

- მაგ., **keratoma** (კერატომა) - რქოვანი კორძი  
**kinesis** (კინესის) - მოძრაობა  
**kyphosis** (კიფოზის) - ხერხემლის გამრუდება გულმკერდის არეში  
აგრეთვე, **K** იწერება უცხოური ენებიდან შემოსულ ზოგიერთ სიტყვაში. მაგ.,  
**Kalium** - კალიუმი (არაბ.)  
**Kefir** - მჟავე (თურქ.)

#### Qq - ჟ

**Q**-ს ყოველთვის მოსდევს უ და **qu** იკითხება როგორც ჟვ. ეს კომპლექსი მხოლოდ მომდევნო ხმოვანთან ერთად ქმნის მარცვალს.

მაგ., **quat-** tu-or (ოთხი)

წაიკითხეთ: **aqua** (აქვა) - წყალი

**liquor** (ლიქვორ) - სითხე

დაიმახსოვრეთ! თუ გვესმის ჟვ, მას წერილობით შეესაბამება მხოლოდ **qu**.

მაგ., **სქვამა** - **squaama** - ქიცვი

**ყურადღება მიაქციეთ**, რომ ქართულად **qu** გადმოდის როგორც ჰვ.

სწორია: ადეკვატური, ეკვივალენტი, კვოტა, ლიკვორი...

## Ss - ს ან ზ

ანტიკურ ხანაში ს ყოველთვის ს-დ გამოითქმოდა, მომდევნო პერიოდიდან ს ს-დ გამოითქმის სიტყვის დასაწყისში, ბოლოში, ერთ ხმოვანთან, ნებისმიერი თანხმოვნის მეზობლობაში.

- მაგ., **sinister** (სინისტერ) - მარცხენა  
**crista** (კრისტა) - ქედი  
**sanguis** (სანგვის) - სისხლი  
**sinus** (სინუს) - წიაღი

ss გამოითქმის როგორც ს და როცა 2 ხმოვანს შორის გვესმის ს, ყოველთვის იწერება ss.

- წაიკითხეთ: **fossa** (ფოსა) - ფოსო  
**osseus** (ოსეუს) - ძვლის  
**processus** (პროცესუს) - მორჩი  
**glossa** (გლოსა) ბერძნ. - ენა

ხმოვნებს შორის ს ზ-დ გამოითქმის როგორც ცალკე, ასევე, თუ ს გვხვდება **m**-თან ან **n**-თან (**sm**, **ns**):

$$\text{ხმოვანი} + (\text{m}, \text{n}) \text{ S} + (\text{m}, \text{n}) + \text{ხმოვანი} = \text{ზ}$$

- წაიკითხეთ: **basis** (ბაზის) - ფუძე  
**incisura** (ინციზურა) - ნაჭდევი  
**organismus** (ორგანიზმუს) - ორგანიზმი  
**mensis** (მენზის) - თვე, მთვარე  
**ansa** (ანზა) - ტარი  
**ensiformis** (ენზიფორმის) - მახვილისებრი

## X x - ქს, გზ

Х რთული თანხმოვანია, ის არის ბერძნული ქ (ქსი)-ს შესატყვისი, წარმოადგენს ც, გ, ვ, ქ-ს ნაერთს ს-სთან და გამოითქმის როგორც ქს ან გზ.

- მაგ., **axis**(აქსის) - 1.ღერძი 2.კისრის II მალა  
**radix** (რადიქს) - ფესვი  
**apex** (აპექს) - მწვერვალი  
**exemplar** - (ეგზემპლარ) - მაგალითი, ნიმუში

## Zz - ზ, ც

Z ბერძნულიდან შემოსული რთული თანხმოვანია და ბერძნულ ჰ (ძეტა)-ს შეესაბამება. იგი ძ (დზ)-დ გამოითქმოდა. ბერძნულ სიტყვებში Z-ის გამოთქმა თანდათან გამარტივდა და ზ-ს დაუახლოვდა.

Z ზ-დ იკითხება იმ ბერძნულ სიტყვებში, თუ:

1. სიტყვის დასაწყისში გვესმის ზ:  
მაგ., **zygoma** (ზიგომა) - ყვრიმალი  
**zoster** (ზოსტერ) - სარტყელი  
**zoologia** (ზოლოგია) - მეცნიერება ცხოველთა შესახებ
2. სიტყვის ბოლოს გვესმის - ზოა (ცხოველი)  
მაგ., **hydrozoa** (ჰიდროზოა) - წყლის ცხოველი  
**sporozoa** (სპოროზოა) - სპოროვანი ცხოველი

**protozoa** (პროტოზოა) - უმარტივესი ცხოველი  
გარდა ამისა, Z იწერება იმ სიტყვებშიც, რომლებშიც ძვ.ბერძნულში **ζ** (ძეტა)  
იწერებოდა

მაგ., **horizontalis** (ჰორიზონტალის) - ჰორიზონტალური  
**eczema**(ეკზემა) - სირსველა  
**Oryza** (ორიზა) - ბრინჯი  
**benzoë** (ბენზოე) - საკმეველი

**ბერძნული ენიდან ადრე ნასესხებ სიტყვებში Z = ፭**

მაგ., **trapeza** (ტრაპეზა) - მაგიდა

მაგრამ, სამეცნიერო ტერმინებში, რომლებმაც გერმანული ენის გავლენა განიცადეს,

**Z=6**

მაგ., **trapezia** (ტრაპეცია) - ტრაპეცია  
**trapezoideus** (ტრაპეციოიდეუს) - ტრაპეციისებრი  
სხვა ენებიდან შემოსულ სიტყვებშიც **Z = ც**  
**Zincum** (ცინკუმ) - თუთია (გერმ.)  
**influenza** (ინფლუენცა) - გრიპი (იტალ.)  
**nodulus Aranzii** (ნოდულუს არანცი) - არანციის კვანძი

<b>Z</b> -----	სიტყვის დასაწყისში, ბერძნულიდან შემოსულ სიტყვებში	<b>፭</b>
----- + სხვა ენებიდან შემოსულ სიტყვებში	-----	<b>ც</b>

$$ti = ც ან ო$$

<b>ti</b>	<b>ც</b>
----- + ხმოვანი	-----
<b>s, x, t + ti</b>	<b>ტ</b>

$$ti = ც$$

წაიკითხეთ: **articulatio** (არტიკულაციო) - სახსარი

**eminentia** (ემინენცია) - შემაღლება

**curatio** (კურაციო) - მკურნალობა

**spatium** (სპაციუმ) - სივრცე

$$ti = ო$$

წაიკითხეთ: **ostium** (ოსტიუმ) - შესავალი, ხვრელი

**mixtio** (მიქსტიო) - შერევა

**Attius** (ატიუს) - ატიუსი

ბერძნული ენიდან შემოსულ სიტყვებში	სხ
<b>S + ch</b> -----	----- =

წაიკითხეთ: schema (სხემა) ბერძნ. - სქემა

**schola** (სხოლა) ბერძნ. - სკოლა

**schisma** (სხიზმა) ბერძნ. - ნაპრალი

ischiadicus (ისხიადიკულუს) ბერძნ. - ს

სიტყვაში გარმანული ენის კავლენით ხშირ

ენიდან შემოსულ სიტყვებში კი ის ყოველთვის შ-დ იკითხება. **Leischmania**(ლეიშმანია) - ლეიშმანია (მეცნიერის გვარის მიხ.).

Ww - 3

W- დუბლ ვე ლათინურ ენაში თანამედროვე ცვროსული ენების გავლენით შემოვიდა და გამოიყენება მაშინ, როცა ამ ენებიდან შემოსულ სიტყვებში ვ ბგერა გვესმის.

მაგ., *Unguentum Wilkinsoni* (უნგვენტუმ ვილკინსონი) - ვილკინსონის მალამო

სავარჯიშო 2.1

ერთ სვეტში ამოწერეთ სიტყვები, რომლებშიც  $C = \beta$ -ს,

მეორე სვეტში კი ის სიტყვები, რომლებშიც  $C = \beta - k$

1.carpalis 2.pharmacis 3.gracilis 4.circulus 5.tuberculum 6.centralis 7.nucleus 8.carcinoma  
9.capsula 10.cella 11.occipitale 12.cartilago 13.nutricius 14.carpus 15.pectorale 16.clavicularia 17.faciale  
18.oculus 19.articularis 20.scapula 21.caruncula 22.collum 23.gracile 24.capitulum 25.colon 26.musculus  
27.acromion 28.ciliaris 29.fasciculus 30.cervicale 31.semicircularis 32.opticus 33.superficialis 34.ductus  
35.canalis 36.truncus 37.cornua 38.plica 39.fascia 40.lacrimalis 41.sacralia 42.processus 43.cerebellare  
44.columna.

I. C = 3

## II. C = 3

*1.carpalis*, *4.circulus*,

2. *pharmacia*, 3. *gracilis*, 4. *circulus*,

## სავარჯიშო 2.2

შემოხაზეთ სიტყვები, რომლებშიც  $\text{ti} = \text{tɔ-}$ ს

- 1.dentis 2.dentium 3.dentibus 4.substantia 5.tibialis 6.articulatio 7.mitius 8.articulationis  
9.terminationes 10.denticulatus 11.incubatio 12.otitidis 13.teretis 14.hepatis 15.examinatio 16.retinaculum  
17.generatio 18.articularis 19.praeparatio 20.natio 21.otitis 22.amarities 23.ostium 24.latine 25.reductio  
26.ustio.

## სავარჯიშო 2.3

წაიკითხეთ ტერმინები, აღნიშნეთ დიფთონგები

- 1.vertebrae 2.coeliacus 3.massae 4.fovea 5.coccygeae 6.costae 7.auricula 8.caecalis 9.neurosis  
10.caudalis 11.incisurae 12.foetus 13.aponeurosis 14.calcaneus 15.blastocoelia 16.nuclearis  
17.centrosphaera 18.autosomata 19.auricularis 20.linea 21.caeruleus 22.meatus 23.aetiologia 24.aneurysma  
25.cauda 26.aër.

## სავარჯიშო 2.4

აღნიშნეთ სიტყვები, რომლებშიც  $C = \beta$

- 1.cervix 2.cervicalis 3.calidus 4.facies 5.superficialis 6.incisura 7.cavatus 8.cellula 9.camera  
10.cystis 11.processus 12.cochlea 13.coccyx 14.discus 15.crus 16.sacralis 17.columna 18.corru 19.rectum  
20.costa 21.cavum 22.cinereus 23.crista 24.carina 25.granulocyti 26.compositus.

## სავარჯიშო 2.5

ხაზი გაუსვით სიტყვებს, რომლებშიც  $U = \beta$

- 1.sanguis 2.angulus 3.qualitas 4.lingua 5.lingula 6.squama 7.longus 8.unguentum 9.sanguineus  
10.sulcus 11.suaveolens 12.ungula 13.inguinalis 14.quadriceps 15.sublingualis 16.sanguifer 21.uvula  
22.quadratus 23.quantitas 24.quercus 25.unguis 26.suavis.

## სავარჯიშო 2.6

შემოხაზეთ სიტყვები, რომლებშიც  $S = \emptyset$

- 1.fibrosus 2.venosus 3.corpus 4.systema 5.organismus 6.incisura 7.capsula 8.arteriosus  
9.endoplasma 10.nervosus 11.adiposus 12.diagnosis 13.contusus 14.subscapularis 15.sterilis 16.atlas  
17.pulposus 18.superior 19.pars 20.sternum 21.siccus 22.basalis 23.submucosus 24.cavernosus 25.gaster  
26.ansa 27.vasculosus 28.circulus 29.glossa 30.spongiosus 31.neurosis 32.callosus 33.dens 34.gargarisma.

## სავარჯიშო 2.7

წაიკითხეთ:

1.Abdomen, abdominalis, abducens, abductor, accessorius, acutus, adductor, anterior, apertura, apex, apophysis, articulatio, ascendens, auris, auricula, avis.

2.Basis, basilicus, biceps, bicornis, bifurcatio, bigeminus, blastus, brachium, brevis, bucca, bulla, bursa.

3.Caecum, caecalis, calcaneus, canis, caninus, caput, capitulum, cartilago, cauda, caudalis, cerebellum, cervix, cervicalis, clavicula, clavicularis, colon, collum, columna, compositus, coxa, cranium, cutis, cystis, cytus, cibus.

4.Dens, densus, dentalis, derma, descendens, dexter, diaphysis, dilatator, distalis, dorsum, dorsalis, duodenum, duodenalis, digestio.

5.Encephalon, enteron, endocardium, epidermis, epicardium, epigastricus, epigastrium, epiphysis, epithelium, equinus, esophagus, externus, extremitas, epiglottis, epiglotticus.

6.Facies, facialis, fascia, femur, femoralis, fibrosus, fibula, fissura, flexor, flexura, fundus, foramen, fossa, fovea.

7.Ganglion, gangliosus, gaster, gastricus, genu, glandula, gluteus, granulatio, granulum, gyrus.

8.Haema, hepar, hepaticus, hilus, humerus, humeralis, hypogastrium, hypoglossus, hypophysis.

9.Ileum, impressio, incisura, infrasternalis, infratemporalis, intestinum, infraarticularis, ischium, ischiadicus, incisivus, inferior, intraoccipitalis.

10.Labium, labialis, labyrinthus, lac, lamina, larynx, laryngeus, latissimus, lingua, lingualis, lingula, liquor, lobus, lobulus, lympha, lymphaticus.

11.Mandibula, mastoideus, maxilla, maxillaris, medulla, medullaris, meninx, meningeus, mesoderma, metaphysis, metatarsus, multiplex.

12.Nucleus, nucleolus, nutricius, nasus, neoplasma, nervus, nodus, nodulus, nuclearis, naris.

13.Occiput, occipitalis, oculus, omentum, opticus, osseus, ossiculum, ossificatio, osteoma, ostium, oticus, ovum.

14.Palatum, palpebra, palatinus, pancreas, papilla, papillaris, paries, parietalis, pectus, pectoralis, pediculus, pharynx, posterior, processus, pronator, pterygoideus, pulmo, pulmonalis, pylorus, polynuclearis.

15.Quercus, quadriceps, quartus, quinque, quintus, quadrimensis, quadrigeminus, quadratus, quadrangularis, qualitas.

16.Radius, radialis, radicularis, radix, regio, respiratorius, reticulum, rotator, rumen, reconvalescentia.

17.Sacrum, sacralis, scaphoideus, scapula, scapularis, septum, sphenoidal, spongiosus, stomachus, strictura, structura, styloideus, subphrenicus, superior, supinatio, sanguis, succus, sulcus, supraarticularis, sympatheticus, symphysis, sutura, synovialis, suaveolens.

18.Thorax, thoracalis, tibia, tibialis, transversus, trapezius, triceps, trochanter, trochantericus, truncus, tuber, tuberculum, tuberosus, tunica.

19.Vacca, vaccae, vagina, vaginalis, valvula, venter, ventralis, ventriculus, vertebra, vertebrae, vertebral, vesica, vesicula, vesicularis, vitellus, vitellinus

20.Zoon, zoonosis, zootomia, zootoxinum, zygoma, zygomaticus, zona, zonula.

## სავარჯიშო 2.8

### დაწერეთ ლათინურად

- |                 |                  |
|-----------------|------------------|
| 1. პროცესუს     | 14. კუბიტუს      |
| 2. აპექს        | 15. თრომბოციტუს  |
| 3. დისპეზია     | 16. ფაგოციტოზის  |
| 4. ცენტრუმ      | 17. ევპნოე       |
| 5. ზოოლოგია     | 18. არტიკულაციონ |
| 6. კოქსა        | 19. აბდუცენს     |
| 7. კალიუმ       | 20. ნევროზის     |
| 8. მაქსიმუს     | 21. გასტრიკუს    |
| 9. სუბლინგვალის | 22. პნევმონია    |
| 10. დიგესტიონ   | 23. ვენოზუს      |
| 11. სხიზის      | 24. ენდოპლაზმა   |
| 12. ხონდრომა    | 25. აპოფიზის     |
| 13. გრაცილის    | 26. ინციზურა     |

### ვარნაბი

1. \_\_\_\_\_
2. \_\_\_\_\_
3. \_\_\_\_\_
4. \_\_\_\_\_

5. \_\_\_\_\_

6. \_\_\_\_\_

7. \_\_\_\_\_

8. \_\_\_\_\_

9. \_\_\_\_\_

10. \_\_\_\_\_